19/11/2026

MES 4 26 0001688440

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 12 ნოემბერს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Topic: პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა
Time: November 12, 2026 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/83486795213?pwd=NW1jQvJ6uKj7Y25HFn6EycoXcdyGYR.1
Meeting ID: 834 8679 5213
Passcode: 629908

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს თავმჯდომარე);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს მდივანი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი);

ნინო ელბაქიძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სხვა პერსონალის განვითარების ქვეპროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
ნანა დვალი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განათლების პროექტების სამსახურის სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სს - საქართველოს ეკონომიკის განვითარების კორპორაციის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურის უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები:
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაყვალა დარსანია- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მარიამ ჩოხელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მარიამ სულთანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „ფაზისი“
ნინო ბაკურაძე - დირექტორი
ეკატერინე ფოჩხუა - ხარისხის მართვის მენეჯერი

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი ფერმერთა სკოლა
რეზო შარაბიძე - დირექტორი
მაკა ვარდოსანიძე - ადმინისტრაციული მენეჯერი
ლალი ალფაიძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ელენე მაღლაკელიძე - პროფესიული მომზადების პროგრამის „ხეხილის სხვლა-ფორმირება“ განმახორციელებელი პირი
მზია ბერუაშვილი - პროფესიული მომზადების პროგრამის „დეკორატიული ბაღის მოვლა“ განმახორციელებელი პირი

შპს ენების ინოვაციური აკადემია
ნინო ღარიბაშვილი - დამფუძნებელი და დირექტორი
ნანული მანჩხაშვილი - პროფესიული მომზადების პროგრამის „ელექტრონული ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოება“ განმახორციელებელი პირი
გიორგი ტალახაძე - პროფესიული მომზადების პროგრამების „ვიზუალური ნამუშევრის შექმნა ციფრული ტექნიკით“ და „ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების გამოყენება“ განმახორციელებელი პირი

სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“
ნინო ქავთარაძე - დირექტორი
მაია დალაქიშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
რუსუდან ქურასბედიანი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
საბა მოდებაძე
თამარ ახალაძე
მაია ხურცილავა

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:05 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, რომ, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება.
რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების სერტიფიცირება“ /02725/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის „დეკორატიული ბაღის მოვლა“ / 02712/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის „ხეხილის სხვლა-ფორმირება“ / 02713/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს ენების ინოვაციური აკადემიის „ელექტრონული ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოება" /02732/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს ენების ინოვაციური აკადემიის „ვიზუალური ნამუშევრის შექმნა ციფრული ტექნიკით" /02733/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს ენების ინოვაციური აკადემიის „ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების გამოყენება" /02734/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

7. სსიპ - კოლეჯ მოდუსის „ქართული და უცხოური კერძების მომზადება" /02644/ - პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

1. სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების სერტიფიცირება“ /02725/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა საბა მოდებაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 6 ოქტომბრის №1403724 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მარიამ სულთანიშვილმა და დარგის ექსპერტმა საბა მოდებაძემ შეისწავლეს სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის „შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების სერტიფიცირება“ (ID 02725) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2026 წლის 21 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - კოლეჯ „ფაზისში“ მისამართზე: ქ. ფოთი, კონსტიტუციის №54.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამების პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობაა - 7 კვირა, სწავლების ენა ქართული, მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ფოთი, კონსტიტუციის №54.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ენერგორესურსების რაციონალური გამოყენებისა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით მიღებული კანონები („ენერგოეტიკეტირების შესახებ“, „ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“), ასევე მთავრობის მიერ დამტკიცებული სატრენინგო პროგრამა ზრდის კვალიფიციურ სპეციალისტებზე მოთხოვნას. ფოთი მნიშვნელოვანი სამრეწველო და ლოგისტიკური ცენტრია, სადაც ინფრასტრუქტურული და სამშენებლო პროექტების ფონზე რეგიონში სერტიფიცირებული სპეციალისტების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. ადგილობრივი კადრების გადამზადება შეამცირებს სხვა რეგიონებიდან (მაგ. თბილისიდან) სპეციალისტების მოწვევის საჭიროებას, გაზრდის მომსახურების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს რეგიონში დასაქმებას.
მსოფლიო ბანკის, UNDP-ის, ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს და სხვა საერთაშორისო ანგარიშების (მათ შორის COP28-ის შეთანხმების) მიხედვით, მწვანე გარდაქმნისა და ენერგოეფექტურობის მიმართულებით პროფესიული უნარები გლობალურად და ადგილობრივად მზარდი მოთხოვნით სარგებლობს. ვაკანსიების პლატფორმებზე (Jobs.ge, HR.gov.ge) არსებული მოთხოვნები სრულად შეესაბამება გადამზადების პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებს. კოლეჯ „ფაზისში“ პროგრამის განხორციელებას მხარს უჭერს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და დანიის მთავრობის დაფინანსებით მიმდინარე ოთხწლიანი პროექტი, რომელიც ინკლუზიური მწვანე გარდაქმნის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

პირველ, მეორე და მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია, დასკვნაში დეტალურად არის წარმოდგენილი სამივე სტანდარტის აღწერა და შეფასება.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოს, მატერიალური და სასწავლო რესურსის ამსახველი ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და დასძინა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა, იმიტომ, რომ ენერგოეფექტურობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სხვა საკითხებთან ერთად. მან ასევე აღნიშნა, სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ მიერ წარმოდგენილი საინტერესო პროგრამის შესახებ, რომელიც ეხებოდა განახლებადი ენერგიის მზის პანელების დამონტაჟებას.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია, როდესაც რეგიონში ანალოგიური განვითარება მიმდინარეობს, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ფოთის ირგვლივ რაც ხდება და, ზოგადად, იმ რეგიონში ძალიან ბევრი საინტერესო წამოწყებაა.
ნანი დალაქიშვილმა გააკეთა კომენტარი პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, რადგან ეს არის გადამზადების პროგრამა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, ასე ვთქვათ, დადებით კონტექსტში, რადგან ხშირად ხაზი არ არის გასმული იმის თაობაზე, რომ გადამზადების პროგრამას სჭირდება გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილება იმისათვის, რომ საერთოდ პროგრამა შესასწავლი იყოს, ამავე დროს, უკვე დადგენილია რეგულირება სახელმწიფოს მიერ და სერტიფიცირების პირობებიც, რაც მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებს კოლეჯს.

სამსახურის წარმომადგენელმა ურჩია კოლეჯს, გააგრძელონ თანამშრომლობა ეკონომიკის სამინისტროსთან, რათა ამ პროგრამის კურსდამთავრებულებმა წარმატებით შეძლონ სასერტიფიკატო გამოცდების ჩაბარებაც. რჩევა გაიზიარა კოლეჯის წარმომადგენელმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ „შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების სერტიფიცირება“ /02725/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ფაზისს“ (ს/კ: 215101716) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების სერტიფიცირება /02725/ **(დანართი 1).**

2. ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის „დეკორატიული ბაღის მოვლა“ /02712/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის „ხეხილის სხვლა-ფორმირება“ / 02713/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები გაერთიანებული პრეზენტაციის სახით საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 6 ოქტომბრის №1403717 და №1403721 ბრძანებების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ შეისწავლეს ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის პროფესიული მომზადების პროგრამების „დეკორატიული ბაღის მოვლა“ (ID 02712) და „ხეხილის სხვლა-ფორმირება“ (ID 02713) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადები და 2026 წლის 15 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლაში, მისამართზე: საგარეჯოს რაიონი, სოფელი ნინოწმინდა.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რეკომენდაციები ორივე პროგრამის ფარგლებში, კერძოდ

<u>პროფესიული მომზადების პროგრამა - დეკორატიული ბაღის მოვლა</u>

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

წარმოდგენილ პროგრამაში მეხუთე სწავლის შედეგი ფორმულირებულია შემდეგნაირად - „მავნებელ - დაავადებების მართვა დეკორატიულ ბაღში“. მავნებელ - დაავადებათა მართვა მცენარის მოვლის საქმეში ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს, თვითონ პროცესი „მართვა“ არ წარმოადგენს მესამე საფეხურის პროგრამის აქტივობას. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, მეხუთე სწავლის შედეგი გააზრებულად იქნეს ფორმულირებული, კომპეტენციის პარამეტრების და კონკრეტული შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით.

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

რეკომენდებულია, ზუსტად იყოს განსაზღვრული ის აქტივობები, რომლებიც განხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, რადგან პროგრამის დოკუმენტში არის ჩანაწერი, რომ სულ ოთხი ვიზიტი განხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. ფერმერთა სკოლას ამავდროულად საკუთარ ეზოშიც აქვს დეკორატიული მცენარეები, სადაც შესაძლებელია მცენარეთა მოვლის ღონისძიებების სწავლება, ასევე პატარა სათბური, სადაც შესაძლებელია თესვა, მცენარეთა დაკალმება, დასაკალმებელი სუბსტრატის მომზადება და ა.შ.

ქვესტანდარტი 1.8 - სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით

რეკომენდებულია სწავლების მეთოდების სპექტრის გაფართოება დემონსტრირების, პრაქტიკული სავარჯიშოების, ინსტრუქტაჟის, შემთხვევის ანალიზის მეტი ინტეგრირებით, რათა გაძლიერდეს მსმენელთა კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობის და კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარები.

ასევე, რეკომენდებულია, დისტანციური სწავლების წესი სრულყოფილად იქნას შემუშავებული, გასწორდეს ტერმინოლოგია და ასევე დაზუსტდეს, თუ რომელ პლატფორმაზე განხორციელდება პროგრამის ის ნაწილი, რაც შესაძლებელია დისტანციურად განხორციელდეს, ასევე დაცული უნდა იყოს მსმენელის უფლებები, შესაბამისად რეკომენდებულია ამ ეტაპზე წარმოდგენილი პროგრამა განხორციელდეს პირისპირ.

ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში აისახოს, თუ როდის არის დაგეგმილი განმსაზღვრელი შეფასება და რამდენი საათი დაეთმობა თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის შეფასებას.

პროფესიული მომზადების პროგრამა - ხეხილის სხვლა-ფორმირება

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

წარმოდგენილ პროგრამაში კვირეული სასწავლო დატვირთვა არის 4 - 6 საათი. რეკომენდებულია გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა 8 საათამდე. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს განმსაზღვრელი შეფასებისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა.

ასევე მიზანშეწონილია, სეზონურობაში მითითებული იქნას, რომ სწავლის პროცესის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ შემოდგომასა და გაზაფხულზე. რაც განაპირობებს პროგრამის წელიწადში მხოლოდ ორჯერ ჩატარებას.

ქვესტანდარტი 1.8 - სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით

რეკომენდებულია სწავლების მეთოდების სპექტრის გაფართოება **დემონსტრირების, პრაქტიკული სავარჯიშოების, ინსტრუქტაჟის, შემთხვევის ანალიზის** მეტი ინტეგრირებით, რათა გაძლიერდეს მსმენელთა კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობის და კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარები.

ასევე, რეკომენდებულია, დისტანციური სწავლების წესი სრულყოფილად იქნას შემუშავებული, გასწორდეს ტერმინოლოგია და ასევე დაზუსტდეს, თუ რომელ პლატფორმაზე განხორციელდება პროგრამის ის ნაწილი, რაც შესაძლებელია დისტანციურად განხორციელდეს, ასევე დაცული უნდა იყოს მსმენელის უფლებები, შესაბამისად რეკომენდებულია ამ ეტაპზე წარმოდგენილი პროგრამა განხორციელდეს პირისპირ.

ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში აისახოს, თუ როდის არის დაგეგმილი განმსაზღვრელი შეფასება და რამდენი საათი დაეთმობა თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის შეფასებას.

ასევე, რეკომენდებულია განმსაზღვრელი შეფასება განხორციელდეს ოთხივე მიმართულების ხეხილოვან მცენარეზე, კერძოდ თესლოვან, კურკოვან, კაკლოვან და კენკროვან მცენარეებზე.

პროგრამების პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მესამე, პროგრამის „დეკორატიული ბაღის მოვლა“ ხანგრძლივობაა - 14 კვირა, „ხეხილის სხვლა-ფორმირება“ ხანგრძლივობა - 9 კვირა, პროგრამების სწავლების ენა ქართული, მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა პროგრამაზე „დეკორატიული ბაღის მოვლა“ - 10, ხოლო პროგრამაზე „ხეხილის სხვლა-ფორმირება“ – 15 მსმენელი. პროგრამების განხორციელების ადგილი - საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ნინოწმინდა.

პროგრამების საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კახეთი მეხილეობის წამყვანი რეგიონია; ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური ბაღების გაფართოებამ გაზარდა კვალიფიციურ მხვლელ-მფორმირებლებზე მოთხოვნა. 2024 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერა: მრავალწლიანი ნარგავები - 176 ათასი ჰა (+60,6% 2014 წელთან შედარებით); ხეხილის

ბაღები - 93,3 ათასი ჰა. 2024 წელს ხილის წარმოება წინა წელთან შედარებით 25,2%-ით გაიზარდა; სახელმწიფო პროგრამით „დანერგე მომავალი“ დაფინანსდა დაახლოებით 22 000 ჰა ბაღი. კურსდამთავრებულთა დასაქმება: 2023 - 100%; 2024 - 85,7%; 2025 - 83% (დაწესებულების კვლევა). პროგრამა პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნას; ხელს უწყობს დასაქმებას, თვითდასაქმებას და მცირე ფერმერთა საქმიანობის გაუმჯობესებას. პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ ფერმერულ და სანერგე მეურნეობებში, ინტენსიურ ბაღებში, სასოფლო-სამეურნეო კომპანიებსა და აგროსერვისის ორგანიზაციებში. თვითდასაქმების პერსპექტივა: ხეხილის სხვლა-ფორმირების სეზონური ან მუდმივი მომსახურების შეთავაზება ფერმერებისთვის; საკუთარი ბაღის უკეთ მოვლა და დანაკარგების შემცირება. ფერმერთა სკოლას აქვს 2 ჰა მრავალფეროვანი სადემონსტრაციო ხეხილის ბაღი და ყავს პრაქტიკოსი სპეციალისტები, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარები. სწავლება უკავშირდება რეალურ სამუშაო გარემოს; პროგრამა ხელს უწყობს, როგორც მეხილეობის ხარისხის, ისე სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდას.

პირველ, მეორე და მესამე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამების სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია, დასკვნაში დეტალურად არის წარმოდგენილი სამივე სტანდარტის აღწერა და შეფასება.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს წევრი ნინო ელბაქიძე დაინტერესდა, თუ როგორი იყო თანაფარდობა თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს შორის პროცენტულად, რაზეც მიიღო განმარტება, რომ წარმოდგენილ პროგრამებში პრაქტიკული სწავლება შეადგენს 74%-ს, ხოლო თეორიული – 26%-ს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ეთანხმებოდა თუ არა გაცემულ რეკომენდაციებს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება და აისახება პროგრამებში.
მან ასევე დააფიქსირა პოზიცია დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით და დასძინა, რომ თავიდან თვითონაც არ ეთანხმებოდა კოლეგების წინადადებას დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, კოლეგების მოსაზრება გამოწვეული იყო მხოლოდ ერთი მიზეზით: კოლეჯის მიერ მოძიებულ იქნა ვარდების კარგი სპეციალისტი, რომელიც სხვა რაიონში ცხოვრობს, თუმცა ვიზიტის განხორციელების შემდეგ მოძიებულ იქნა სხვა სპეციალისტი და ეს საკითხი მოგვარებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა რეზო შარაბიძეს და დასძინა, რომ მიესალმებოდა კოლეჯის მზაობას.
საბჭოს წევრი ნინო ელბაქიძე დაინტერესდა, თუ რამდენი ხანი ფუნქციონირებდა ეს ორგანიზაცია და ეს პროგრამები პირველად იქნა წარმოდგენილი თუ არა, გამოცდილება თვითონ ფერმერთა სკოლას რამდენი აქვს და რა გამოცდილებით წარმოადგინა ეს პროგრამები. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეკომენდაციები ბუნებრივია და არ იქნება საფუძველი, რომ პროგრამების განხორციელება შეფერხდეს, დარგის ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაციები ყურადსაღებია, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია 2015 წლიდან ფუნქციონირებს, დაფუძნებულია საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდი ლაზარეს პროექტის ბაზაზე. მან დასძინა, რომ კახეთის რეგიონში განხორციელდა მასშტაბური პროექტი, რომელსაც შვეიცარიული ორგანიზაცია "ჰელვეტასი" აფინანსებდა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა მხოლოდ არაფორმალური და ფორმალური სწავლების

კურსები მეფუტკრეობის და მებოსტნეობის მიმართულებით. შემდგომ, როდესაც ეს გრძელვადიანი პროექტი დასრულდა, დამფუძნებელმა, საპატრიარქომ, გადაწყვიტა, რომ პროექტი არ შეჩერებულიყო და აგრარული მიმართულებით სწავლა გაგრძელებულიყო. სახელმწიფომაც მაშინ გამოთქვა თანადგომა: გადმოეცა შენობა სკოლას და შესაბამისი ფინანსური რესურსიც იქნა გამოყოფილი სარემონტო სამუშაოებზე. მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა მზაობა რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის „დეკორატიული ბაღის მოვლა“ /02712/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლას (ს/კ: 438111106) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - დეკორატიული ბაღის მოვლა /02712/**(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 12 ნოემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლის „ხეხილის სხვლა-ფორმირება“ / 02713/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯ ფერმერთა სკოლას (ს/კ: 438111106) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ხეხილის სხვლა-ფორმირება /02713/ **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 12 ნოემბერი.

შპს ინოვაციური აკადემიის საკითხების განხილვამდე საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და აკადემიის წარმომადგენლებს, რომ ვინაიდან საბჭოს

წევრები გაეცნენ დასკვნებს, პირველ სტანდარტში გამოვლენილი ხარვეზი და გაცემული რეკომენდაციები სამივე პროგრამის ფარგლებში ანალოგიურია, თხოვნით მიმართა პრეზენტატორს, მხოლოდ ხარვეზების და რეკომენდაციების შესახებ ესაუბრა, რადგანაც №131 დადგენილების შესაბამისად შპს ენების ინოვაციურ აკადემიას შესწავლილი დასკვნებიდან გამომდინარე, უნდა განესაზღვროს 30 კალენდარული დღე საბჭოს სხდომიდან ხარვეზის გამოსასწორებლად, ვინაიდან სამივე პროგრამის შემთხვევაში გამოვლინდა ხარვეზი 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

4. შპს ენების ინოვაციური აკადემიის „ელექტრონული ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოება" /02732/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა მაია ხურცილავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 6 ოქტომბრის №1403761 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა მაია ხურცილავამ შეისწავლეს შპს ენების ინოვაციური აკადემიის პროფესიული მომზადების პროგრამის „ელექტრონული ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოება“ (ID 02732) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2026 წლის 22 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ენების ინოვაციურ აკადემიაში, მისამართზე ქ. გორი, დიმიტრი ამილახვრის ქ. №32.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში, გაიცა რეკომენდაციები 1.1, 1.2, 1.3, 1.6 და 1.10 ქვესტანდარტებთან მიმართებაში, კერძოდ
გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება
ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია
აკადემიამ დაასაბუთოს თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ადეკვატურობა, შესასრულებელი პრაქტიკული სამუშაოების მოცულობისა და

სირთულის გათვალისწინებით. ასევე, დაზუსტდეს სწავლა-სწავლებისა და შეფასების აქტივობებისთვის განკუთვნილი დროის განაწილება და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს საათების გაზრდა/გადანაწილება სწავლის შედეგებს შორის გონივრულად.
განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-5 სწავლის შედეგის თემატიკისა და საათობრივი დატვირთვის გადახედვა. თემატიკის შემცირების, გამარტივების ან გადანაწილების შემთხვევაში უნდა შენარჩუნდეს სწავლის შედეგის მისაღწევად აუცილებელი კომპეტენციები და უზრუნველყოფილ იქნეს მათი პრაქტიკული სწავლებისა და შეფასებისთვის საკმარისი დრო.

რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1 - პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს

რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს შრომის ბაზრის გეოგრაფიული არეალი და მკაფიოდ გამიჯნოს ადგილობრივი (გორი და გორის მუნიციპალიტეტი), რეგიონული (შიდა ქართლი) და ეროვნული (საქართველო) შრომის ბაზრები.
ამასთან, მიზანშეწონილია წარმოდგენილ დოკუმენტში უფრო სრულყოფილად აისახოს ადგილობრივ დამსაქმებლებთან ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია, გამოკითხული დამსაქმებლების რაოდენობა, საქმიანობის სფეროები და გამოვლენილი კონკრეტული პროფესიული კომპეტენციები. კვლევის შედეგები უშუალოდ დაუკავშირდეს პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს, განსაკუთრებით ელექტრონული ბუღალტრული დოკუმენტაციის დამუშავებასა და კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობას. ასევე, რეკომენდებულია სტატისტიკური მონაცემების განახლება, დასაქმების პლატფორმებზე გამოვლენილი შესაბამისი ვაკანსიებისა და მოთხოვნილი უნარების ანალიზის დაკონკრეტება და პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობის გასწორება.

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

რეკომენდებულია დაწესებულებამ განიხილოს პროგრამის სახელწოდების დაზუსტების შესაძლებლობა, რათა მასში უფრო მკაფიოდ აისახოს ბუღალტრული ოპერაციების აღრიცხვისა და კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის გამოყენების კომპონენტები. შესაძლო ალტერნატიულ სახელწოდებად შეიძლება განხილულ იქნეს **„ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით“.**
ამასთან, სახელწოდების საბოლოო შერჩევისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მისაღწევი კომპეტენციების ფარგლები, რათა სახელწოდებამ არ შექმნას ბუღალტრული აღრიცხვის სრული პროფესიული კომპეტენციის დაუფლების მოლოდინი.

ქვესტანდარტი 1.3 - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან

რეკომენდებულია დაწესებულებამ დააზუსტოს პროგრამის მიზნის ფორმულირება და იგი უფრო მკაფიოდ მიმართოს კურსდამთავრებულის მიერ მისაღწევი ცოდნისა და პრაქტიკული უნარებისკენ. მიზანში გამოიკვეთოს პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების დამუშავების, სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული გატარებებით ასახვის, კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მონაცემების შეტანისა და დამუშავების, ასევე საგადასახადო დეკლარირების ძირითადი კომპეტენციები.
ამასთან, მიზანშეწონილია პროგრამის აღწერაში დაზუსტდეს დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობები და ისინი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მოცულობასთან, კომპეტენციების ფარგლებსა და სწავლების ხანგრძლივობასთან.

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

რეკომენდებულია დაწესებულებამ განიხილოს შემდეგი სწავლის შედეგების ფორმულირებების დაზუსტება: მე-3 სწავლის შედეგი - **„ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შინაარსისა და თავისებურებების ჩამოყალიბება“** - მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტული და შეფასებადი მოქმედებით.

მე-5 სწავლის შედეგი - **„სამეურნეო ოპერაციების ასახვა ბუღალტრული გატარებებით, საბანკო ოპერაციების წარმოება“** - საჭიროებს საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული კომპეტენციის ფარგლების დაზუსტებას. კერძოდ, მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, იგულისხმება საბანკო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა, თუ უშუალოდ საბანკო ოპერაციების განხორციელება.

მე-10 სწავლის შედეგი - **„საგადასახადო დეკლარირება“** - წარმოდგენილია ზოგადი ფორმულირებით და არ განსაზღვრავს მსმენელის მიერ შესასრულებელ კონკრეტულ მოქმედებებს. მიზანშეწონილია მისი ჩამოყალიბება პროგრამის თემატიკით გათვალისწინებული კომპეტენციების შესაბამისად, კერძოდ, **„საგადასახადო დეკლარაციების შევსება, ელექტრონულად წარდგენა და წარდგენილი მონაცემების გადამოწმება“**.

ამასთან, სწავლის შედეგების ფორმულირებების დაზუსტებისას მნიშვნელოვანია მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა სასწავლო თემატიკასთან, სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან და პროგრამის ფარგლებში მისაღწევი კომპეტენციების მოცულობასთან.

ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

რეკომენდებულია შეთანხმდეს პროგრამის ზოგადი აღწერა, შედეგების მიხედვით შეფასების მეთოდები და დისტანციური განხორციელების წესი. გასწორდეს წესის მე-3 მუხლის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერები დისტანციურად სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის შესახებ.

პროგრამის მე-4 – მე-10 სწავლის შედეგებისთვის შეფასების მეთოდი „პრაქტიკული დავალება“ ჩანაცვლდეს მეთოდით „პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“, ხოლო შეფასების ინსტრუმენტებში განისაზღვროს დაკვირვების კონკრეტული კრიტერიუმები, შესასრულებელი მოქმედებები და შეფასების მტკიცებულებები. პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგებისთვის დაზუსტდეს შეფასების პროცედურები, მათ შორის დავალების შესრულების ადგილი და პირობები, ხანგრძლივობა, შეფასების კრიტერიუმები, დაკვირვების ფურცლის გამოყენება, შესრულებული სამუშაოს დადასტურებისა და შედეგების დოკუმენტირების წესი. გასწორდეს სასწავლო გეგმის მე-4 კვირის ჩანაწერი, სადაც მითითებულია პირველი ოთხი სწავლის შედეგის განმსაზღვრელი შეფასება, და უზრუნველყოფილ იქნეს მისი შესაბამისობა სწავლის შედეგების სწავლებისა და შეფასების ფაქტობრივ თანმიმდევრობასთან.

სრულყოფაში მოვიდეს პროგრამის შეფასების შესახებ ჩანაწერებისა და დაწესებულების დისტანციური სწავლებისა და შეფასების შიდა წესის ურთიერთშესაბამისობა. კერძოდ, დაზუსტდეს, რომელი სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდება პირისპირ და რომელი შეიძლება განხორციელდეს დისტანციურად ან ნაწილობრივ დისტანციურად, შესაბამისი შეფასების მეთოდებისა და მტკიცებულებების მითითებით.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მე-4, ხანგრძლივობაა – 11 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. გორი, დიმიტრი ამილახვრის ქ. №32.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით როგორც აღინიშნა, გამოვლინდა ხარვეზი და ასევე გაიცა რეკომენდაციები. რაც შეეხება მეორე და მესამე სტანდარტს აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის მეორე და მესამე სტანდარტი დაკმაყოფილებულია, დასკვნაში დეტალურად არის წარმოდგენილი სამივე სტანდარტის აღწერა და შეფასება.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

აკადემიის დირექტორმა მიმართა საბჭოს, რომ გარდა ხარვეზისა, აუცილებელი იყო თუ არა ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება რაც გაიცა დარგის ექსპერტის მიერ, თუმცა დასძინა, რომ რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ, რაც აისახება ელ. სისტემაში გადაწყვეტილებების გამოქვეყნების შემდეგ და შეცვლილი პროგრამის შესწავლის შემდეგ ხელმეორედ განიხილავს საბჭო.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ენების ინოვაციური აკადემიისთვის "ელექტრონული ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოება“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ენების ინოვაციურ აკადემიას (ს/კ: 418473459) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ელექტრონული ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოება /02732/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

ვინაიდან დარგის ექსპერტები ქეთევან ჯანელიძე და გიორგი წიკლაური საბჭოს სხდომას ვერ დაესწრნენ, ასევე წარსადგენი პროგრამების განმახორციელებელმა პირებმა დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია, კერძოდ, აღნიშნეს, რომ ეთანხმებოდნენ და მისაღები იყო მათთვის რეკომენდაციები, ცენტრის წარმომადგენელმა მოკლედ ისაუბრა ორივე პროგრამასთან დაკავშირებით გამოვლენილ ხარვეზებსა და გაცემულ რეკომენდაციებზე. მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ წარმოდგენილ პროგრამებშიც ანალოგიური ხარვეზები გამოვლინდა და რეკომენდაციები გაიცა.

5. შპს ენების ინოვაციური აკადემიის „ვიზუალური ნამუშევრის შექმნა ციფრული ტექნიკით" /02733/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 6 ოქტომბრის №1403778 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ქეთევან ჯანელიძემ შეისწავლეს შპს ენების ინოვაციური აკადემიის პროფესიული მომზადების პროგრამის „ვიზუალური ნამუშევრის შექმნა ციფრული ტექნიკით“ (ID 02733) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2026 წლის 23 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ენების ინოვაციურ აკადემიაში, მისამართზე ქ. გორი, დიმიტრი ამილახვრის ქ. №32.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში, გაიცა რეკომენდაციები 1.2, 1.3, 1.4, 1.6, 1.8 და 1.10 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ,

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

აკადემიამ დაასაბუთოს თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ადეკვატურობა, შესასრულებელი პრაქტიკული სამუშაოების მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპლექსური შედეგებისთვის – ბრენდბუქისა და გრაფიკული ნოველის შექმნისთვის – საბოლოო პროდუქტების მინიმალური მოთხოვნების დაკონკრეტება და მათ შესასრულებლად განსაზღვრული დროის გადახედვა.

ასევე, დაზუსტდეს სწავლა-სწავლებისა და შეფასების აქტივობებისთვის განკუთვნილი დროის განაწილება და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს საათების გადანაწილება სწავლის შედეგებს შორის.

რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება ზოგადად შეესაბამება პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს, თუმცა სრულად და ერთმნიშვნელოვნად არ წარმოაჩენს პროგრამის რეალურ შინაარსსა და მისაღწევ კომპეტენციებს.

მიზანშეწონილია აკადემიამ განიხილოს პროგრამის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სახელწოდებების დაზუსტების შესაძლებლობა, რათა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის ძირითადი მიმართულება – ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით გრაფიკული და სხვა

ვიზუალური მასალების შექმნა. შესაძლო ალტერნატიულ სახელწოდებად შეიძლება განხილულ იქნეს: ქართულად – **„ვიზუალურიკონტენტისშექმნაციფრულიინსტრუმენტებისგამოყენებით“;** ინგლისურად – **Creating Visual Content Using Digital Tools.**

ქვესტანდარტი 1.3 - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან

მიზანშეწონილია პროგრამის მიზნის ფორმულირების გამარტივება და მისაღწევ კომპეტენციებზე მეტად კონცენტრირება, ასევე მომხმარებლის დაკვეთის შესაბამისად მუშაობის კომპონენტის უფრო მკაფიო ასახვა შესაბამის სწავლის შედეგებსა და შეფასების პირობებში.

ქვესტანდარტი 1.4 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

რეკომენდებულია დაწესებულებამ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით განიხილოს აპლიკანტთა შერჩევის პროცესში კომპიუტერთან მუშაობის საბაზისო უნარების გამოვლენის შესაძლებლობა, მათ შორის გასაუბრების შესაბამისი კრიტერიუმებით ან მოკლე პრაქტიკული დავალებით. ალტერნატიულად, შესაძლებელია პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე გათვალისწინებულ იქნეს მსმენელთა ციფრული უნარების განსხვავებული დონის შესაბამისი სასწავლო აქტივობები. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს მსმენელთა საწყისი შესაძლებლობების გათვალისწინებას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას დადგენილ ვადაში.

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

რეკომენდებულია, პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგების ფორმულირებებში ან შესაბამის თემატიკაში დაზუსტდეს მისაღწევი კომპეტენციების პარამეტრები, მათ შორის შესაქმნელი ვიზუალური პროდუქტების მოცულობა, სირთულის დონე და ძირითადი მახასიათებლები, რათა პროგრამის დოკუმენტში უფრო მკაფიოდ აისახოს ის მიდგომები და ფარგლები, რომლებიც პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა.

ამასთან, მიზანშეწონილია ცალკეული სწავლის შედეგების თემატიკაში უფრო ნათლად წარმოჩნდეს შესაბამისი კომპეტენციის განვითარებისთვის საჭირო შინაარსობრივი კომპონენტები. მაგალითად, კონცეპტუალური ნამუშევრის მომზადებასთან დაკავშირებულ თემატიკაში, ციფრული პლატფორმის ტექნიკური ფუნქციების პარალელურად, სასურველია გამოიკვეთოს ვიზუალური იდეის ჩამოყალიბებისა და მისი პრაქტიკული განხორციელების ძირითადი ეტაპები.

აღნიშნული დაზუსტებები ხელს შეუწყობს სწავლის შედეგებისა და თემატიკის ურთიერთშესაბამისობის გაძლიერებას, მისაღწევი კომპეტენციების უფრო ერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას და მათი შესაბამისობის უკეთ წარმოჩენას პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო დატვირთვასთან.

ქვესტანდარტი 1.8 - სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით

სასურველია პროგრამის დოკუმენტში უფრო სრულყოფილად აისახოს სწავლების მეთოდებისა და მიდგომების ის მრავალფეროვნება, რომელიც გამოიკვეთა პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებისას და რომლის გამოყენებაც დაგეგმილია მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

რეკომენდებულია პროგრამის დოკუმენტში უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის ზოგად აღწერასა და ცალკეული სწავლის შედეგებისთვის მითითებულ შეფასების მეთოდებს შორის თანმიმდევრულობა.
ასევე, აკადემიამ წარმოდგენილ დოკუმენტში - პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესი და პირობები, გაასწოროს უზუსტობა, კერძოდ დოკუმენტის მე-3 მუხლის თანახმად, სწავლის შედეგების დისტანციური სწავლების მეთოდით მიღწევა შეუძლებელია, ხორციელდება ცენტრში კონტაქტური/აუდიტორული სწავლებით. თუმცა ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შესაძლებელია სწავლება დისტანციურად განხორციელდეს.
პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ გორსა და შიდა ქართლში პროგრამის აქტუალურობა უკავშირდება მცირე და საშუალო ბიზნესის, ტურიზმის, სტუმარმასპინძლობისა და საცალო ვაჭრობის ციფრული კომუნიკაციის საჭიროებებს. პოტენციური გამოყენების სფეროებია ადგილობრივი კომპანიების ბრენდინგი, სოციალური მედიისა და სარეკლამო მასალების მომზადება, ტურისტული ობიექტების, მუზეუმების, კულტურული მემკვიდრეობისა და ადგილობრივი ღონისძიებების პოპულარიზაცია. დოკუმენტში განხილული საერთაშორისო ტენდენციები უკავშირდება ციფრული დიზაინისა და მულტიმედიური კონტენტის გამოყენებას ელექტრონულ კომერციაში, რეკლამაში, მედიასა და კრეატიულ ინდუსტრიებში. დისტანციური და დამოუკიდებელი საქმიანობა, მათ შორის Upwork-ისა და Fiverr-ის მსგავსი პლატფორმების გამოყენება, აფართოებს საერთაშორისო დამკვეთებთან თანამშრომლობის შესაძლებლობას. გენერაციული ხელოვნური ინტელექტის განვითარება დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების უნარს.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა – 10 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. გორი, დიმიტრი ამილახვრის ქ. №32.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით როგორც აღინიშნა, გამოვლინდა ხარვეზი და ასევე გაიცა რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ენების ინოვაციური აკადემიისთვის "ვიზუალური ნამუშევრის შექმნა ციფრული ტექნიკით“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის

შესაბამისად, შპს ენების ინოვაციურ აკადემიას (ს/კ: 418473459) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ვიზუალური ნამუშევრის შექმნა ციფრული ტექნიკით /02733/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

6. შპს ენების ინოვაციური აკადემიის „ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების გამოყენება" /02734/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 6 ოქტომბრის №1403758 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა გიორგი წიკლაურმა შეისწავლეს შპს ენების ინოვაციური აკადემიის პროფესიული მომზადების პროგრამის „ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების გამოყენება“ (ID 02734) განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2026 წლის 23 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ენების ინოვაციურ აკადემიაში, მისამართზე ქ. გორი, დიმიტრი ამილახვრის ქ. №32.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში, გაიცა რეკომენდაციები 1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.6, 1.8, 1.10, 2.2 და 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/ მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

აკადემიამ დაასაბუთოს თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის ადეკვატურობა, შესასრულებელი პრაქტიკული სამუშაოების მოცულობისა და

სირთულის გათვალისწინებით. ასევე, დაზუსტდეს სწავლა-სწავლებისა და შეფასების აქტივობებისთვის განკუთვნილი დროის განაწილება და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს საათების გადანაწილება სწავლის შედეგებს შორის გონივრულად.

რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1 - პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს

რეკომენდებულია მიზანშეწონილობის დასაბუთებაში მკაფიოდ გაიმიჯნოს AI ხელსაწყოების საბაზისო გამოყენებით შესასრულებელი სამუშაოები პროგრამირების, მონაცემთა მეცნიერებისა და AI ინჟინერიისგან. დასაქმების პერსპექტივები გამყარდეს პროგრამის კონკრეტულ კომპეტენციებთან დაკავშირებული ვაკანსიებით ან დამსაქმებელთა უკუკავშირით; წყაროებს მიეთითოს ზუსტი დასახელება, თარიღი და შესაბამისი ბმული.

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდება ზოგადად შეესაბამება პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს, თუმცა სრულად და ერთმნიშვნელოვნად არ წარმოაჩენს პროგრამის რეალურ შინაარსსა და მისაღწევ კომპეტენციებს.

წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების გამოყენება“ ორიენტირებულია მსმენელებისთვის თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენების უნარების განვითარებაზე, მიზანშეწონილია, პროგრამის სახელწოდებაში გამოიკვეთოს, რომ პროგრამა ორიენტირებულია ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების პრაქტიკულ გამოყენებაზე.

ქვესტანდარტი 1.3 - მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან

პროგრამის მიზანი შინაარსობრივად შეესაბამება სწავლის შედეგებს; თუმცა მისი ფორმულირების გამარტივება გააუმჯობესებს მისაღწევი კომპეტენციების მკაფიოდ წარმოჩენას. შესაბამისად,

რეკომენდებულია, გამარტივდეს მიზნის ფორმულირება და ყურადღება გამახვილდეს AI ინსტრუმენტების შერჩევაზე, პრაქტიკულ გამოყენებაზე, მიღებული შედეგების კრიტიკულ შეფასებასა და ეთიკურ მოქმედებაზე; თავიდან იქნეს აცილებული პროგრამის კომპეტენციების ფარგლებს გარეთ დასაქმების მოლოდინის შექმნა.

1.4 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში საბაზო განათლების მოთხოვნა და გასაუბრება ქმნის შერჩევის საწყის საფუძველს. ამასთან, არ არის ნაჩვენები, როგორ ფასდება აპლიკანტთა ციფრული მზაობა, მაშინ როდესაც პროგრამა 60 საათში ათი პრაქტიკული შედეგის მიღწევას ითვალისწინებს. საწყისი უნარების გათვალისწინება მნიშვნელოვანია სასწავლო დატვირთვის რეალისტურად დაგეგმვისთვის.

შესაბამისად, რეკომენდებულია შერჩევის პროცესში გათვალისწინებულ იქნეს კომპიუტერთან მუშაობის საბაზისო უნარების გამოვლენა გასაუბრების კრიტერიუმებით ან მოკლე პრაქტიკული დავალებით. ალტერნატიულად, საწყის ეტაპზე დაიგეგმოს მსმენელთა განსხვავებული ციფრული მზაობის შესაბამისი მხარდაჭერა, პროგრამის 60-საათიანი მოცულობის გათვალისწინებით.

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა - გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით

რეკომენდებულია, პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგების ფორმულირებებში ან შესაბამის თემატიკაში დაზუსტდეს მისაღწევი კომპეტენციების პარამეტრები, სასწავლო შედეგების ფორმულირებისას აქცენტი გაკეთდეს შესაძენ კომპეტენციებზე და არა კონკრეტულ პროგრამულ პროდუქტებსა თუ პლატფორმებზე.
სწავლის შედეგებსა და შეფასების პირობებში დაზუსტდეს შესაქმნელი პროდუქტების მინიმალური მოცულობა, სირთულე და ხარისხის კრიტერიუმები: ტექსტი, მუსიკალური კომპოზიცია, გრაფიკული და აუდიოვიზუალური ნამუშევარი, სამეწარმეო იდეა, საინფორმაციო კამპანიის გეგმა და პორტფოლიო. Deepfake-ის ამოცნობა შეფასდეს დასაბუთებული ანალიზითა და შეზღუდვების გაცნობიერებით, ხოლო ეთიკური გამოყენება - პრაქტიკული სიტუაციების განხილვით.
აღნიშნული მიდგომა არ გამორიცხავს სასწავლო პროცესში კონკრეტული ხელსაწყოების გამოყენებას. მათი სწავლება შესაძლებელია შენარჩუნდეს პროგრამის თემატიკასა და პრაქტიკულ აქტივობებში, რაც პროგრამას მეტ მოქნილობასა და ტექნოლოგიურ მდგრადობას შესძენს.

ქვესტანდარტი 1.8 - სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით

სასურველია პროგრამის დოკუმენტში უფრო სრულყოფილად აისახოს სწავლების მეთოდებისა და მიდგომების ის მრავალფეროვნება, რომელიც გამოიკვეთა პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრებისას და რომლის გამოყენებაც დაგეგმილია მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამაში თანმიმდევრულად აისახოს ჰიბრიდული სწავლების აღწერაში უკვე გათვალისწინებული მეთოდები - დემონსტრირება, პრაქტიკული სამუშაო, მაგალითების ანალიზი, დისკუსია და ინდივიდუალური კონსულტაცია. განისაზღვროს დისტანციური და პირისპირ აქტივობების განაწილება და მსმენელთა ინდივიდუალური მხარდაჭერა.

ქვესტანდარტი 1.10 - მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

რეკომენდებულია შეთანხმდეს პროგრამის ზოგადი აღწერა, შედეგების მიხედვით შეფასების მეთოდები და დისტანციური განხორციელების წესი. გასწორდეს წესის მე-3 მუხლის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერები დისტანციურად სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობის შესახებ. შეფასების ინსტრუმენტებში განისაზღვროს თითოეული მსმენელის ინდივიდუალური წვლილის, მოთხოვნების ფორმულირების, მიღებული შედეგის შერჩევის/შეფასებისა და ეთიკური გამოყენების დადასტურების კრიტერიუმები.
სასურველია პრაქტიკული დავალებების ფარგლებში ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების გამოყენებით საბოლოო პროდუქტის შექმნაზე, არამედ მიღებული შედეგების ხარისხის შეფასებაზე, ინფორმაციის გადამოწმებასა და ხელსაწყოების პასუხისმგებლიან გამოყენებაზე.

ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

მიზანშეწონილია, ყველა სწავლის შედეგისთვის დაკონკრეტდეს გამოსაყენებელი AI პლატფორმები, მათ შორის SUNO და ტექსტის, გამოსახულების, ხმისა და ვიდეოს დამუშავების ინსტრუმენტები; დადასტურდეს საჭირო ფუნქციებზე წვდომა ორივე 10-კაციანი ჯგუფისთვის, გამოყენების ლიმიტებისა და შესაძლო ფასიანი ფუნქციების გათვალისწინებით.

ქვესტანდარტი 2.3 - სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე

რეკომენდებულია პროგრამის დაწყებამდე მომზადდეს და ელექტრონულ სასწავლო გარემოში განთავსდეს ყველა სწავლის შედეგის შესაბამისი ქართულენოვანი ინსტრუქციები, პრაქტიკული გზამკვლევები და შეფასების პირობები. ინგლისურენოვანი რესურსების

გამოყენებას ახლდეს ქართულენოვანი განმარტებები; განისაზღვროს მასალების განახლებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პასუხისმგებელი პირი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა – 10 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. გორი, დიმიტრი ამილახვრის ქ. №32.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შპს ენების ინოვაციური აკადემიის სამოქმედო არეალში (გორი და მიმდებარე სოფლები) კვლევის შედეგად ჩატარდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი. კონკრეტული მიმართულების კვლევების შემდეგ მოხდა საკითხის გაანალიზება; გამოვლინდა პროფესიული პროგრამების ძირითადი დასაქმების ბაზრების ხასიათი, მათი მოთხოვნის დინამიკა იმ უნარ-ჩვევების მიმართ, რომლებიც დამსაქმებელს სურს დაინახოს დასაქმებულში.
წარმოდგენილი მიზანშეწონილობის დასაბუთება განიხილავს გორსა და შიდა ქართლში ბიზნესის გაციფრულებას, AI ხელსაწყოების გამოყენების შესაძლებლობებსა და საერთაშორისო ტენდენციებს. პროგრამის უშუალო დანიშნულებაა ტექსტური, გრაფიკული, მუსიკალური და აუდიოვიზუალური მასალების შექმნის, სამეწარმეო იდეის გენერირების, საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვისა და ეთიკური გამოყენების საბაზისო უნარების განვითარება.
აღნიშნული უნარები უკავშირდება ციფრული კონტენტის მომზადებას, საინფორმაციო საქმიანობას, მცირე ბიზნესის კომუნიკაციას, დამოუკიდებელი შეკვეთების შესრულებასა და პიროვნულ განვითარებას. პროგრამის ფარგლებში პორტფოლიოს მომზადება მსმენელს საკუთარი პრაქტიკული შესაძლებლობების წარმოჩენაში დაეხმარება. დასაბუთებაში მითითებულია ეროვნული და საერთაშორისო წყაროები, თუმცა რეგიონული მოთხოვნის ნაწილი აღწერს კვლევის შესაძლო მეთოდებსა და წყაროებს და არა დასრულებული კვლევის კონკრეტულ შედეგებს. ზოგადი მონაცემები AI ინჟინრებისა და მონაცემთა მეცნიერების მოთხოვნის შესახებ ვერ ჩაანაცვლებს ამ პროგრამის საბაზისო კომპეტენციებზე მოთხოვნის პირდაპირ დასაბუთებას. პროგრამის შინაარსიდან იკვეთება მეწარმეობისა და პიროვნული განვითარების პერსპექტივებთან კავშირი; კონკრეტული დასაქმების შესაძლებლობების წარმოჩენას სჭირდება მეტად მიზნობრივი მტკიცებულებები.

პირველ სტანდარტთან დაკავშირებით როგორც აღინიშნა, გამოვლინდა ხარვეზი და ასევე გაიცა რეკომენდაციები. რაც შეეხება მეორე სტანდარტის 2.4 ქვესტანდარტს და მესამე სტანდარტს, შეფასდა ანალოგიურად, როგორც წინა განხილული საკითხები.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ენების ინოვაციური აკადემიისთვის „ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების გამოყენება“ /02734/ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული

მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ენების ინოვაციურ აკადემიას (ს/კ: 418473459) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების გამოყენება /02734/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

7. სსიპ - კოლეჯ მოდუსის „ქართული და უცხოური კერძების მომზადება" /02644/ - პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 23 ოქტომბრის №1509651 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა თემურ საღინაძემ შეისწავლეს სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ქართული და უცხოური კერძების მომზადება“ (ID 02644) მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ცენტრში წარმოდგენილი წერილი და 2026 წლის 3 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“, მისამართზე: ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას გამზირი №4 და №5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი).

ვიზიტის დროს გადამოწმდა მთავრობის №131 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის უფლების მოპოვების სტანდარტების'' პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების და პროგრამის ადმინისტრირების სტანდარტებთან შესაბამისობა.

ზოგადი ინფორმაცია პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ

სსიპ კოლეჯმა „მოდუსმა“ 2026 წლის 16 ოქტომბრის წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №1460484) სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართა პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ქართული და უცხოური კერძების მომზადება“ მსმენელთა ზღვრული რაოდენობის 30-დან 50-მდე გაზრდის მოთხოვნით. მათგან 30 მსმენელი ისწავლის კოლეჯის ბაზაზე (ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას ქ. №4), ხოლო 20 – №5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მთისძირი), ორ ათკაციან ჯგუფად.

მოთხოვნა ეფუძნება სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის 2026 წლის 5 ოქტომბრის №01/938 წერილს, რომლითაც ცენტრმა კოლეჯს, 2022 წლის 4 მაისის მემორანდუმის ფარგლებში, აღნიშნულ დაწესებულებაში კულინარიული მიმართულების მოკლევადიანი პროგრამის განხორციელება სთხოვა. კოლეჯის მოქმედი კვოტა სრულად ათვისებულია, მათ შორის, პარტნიორ ორგანიზაციებთან ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, რის გამოც დამატებითი ჯგუფების ორგანიზება კვოტის გაზრდას საჭიროებს. კოლეჯ „მოდუსს“ მიმართეს იმის გათვალისწინებითაც, რომ კოლეჯი „იკაროსი“ პროგრამას უკვე ახორციელებს №16 პენიტენციურ დაწესებულებაში და მისი პარალელურად №5 დაწესებულებაში განხორციელების შესაძლებლობა არ აქვს.

პროგრამის ერთობლივად განხორციელების მიზნით, მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრსა და კოლეჯ „მოდუსს“ შორის 2026 წლის 15 ოქტომბერს გაფორმდა №22 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. ცენტრი უზრუნველყოფს აუცილებელ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, ხოლო კოლეჯი – ადამიანურ და სასწავლო რესურსებსა და სასწავლო პროცესის ორგანიზებას. პროგრამაში ჩაერთვება ორი განმახორციელებელი პირი, რომლებიც აღნიშნულ პროგრამას კოლეჯშიც ახორციელებენ.

№5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში მოწყობილია დაახლოებით 95 კვ.მ ფართობის სასწავლო სამზარეულო. სივრცე პენიტენციურმა სამსახურმა გაარემონტა, სურსათის უვნებლობისა და სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა კოლეჯმა „იკაროსმა“ უზრუნველყო, ხოლო საჭირო ინვენტარითა და რესურსებით აღჭურვა – თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტომ (TİKA). რესურსები განკუთვნილია მხოლოდ სასწავლო მიზნებისთვის და გათვლილია ათკაციანი ჯგუფების მუშაობაზე.

მოთხოვნის განხილვის ფარგლებში დაწესებულებაში განხორციელდა ვიზიტი მეორე და მესამე სტანდარტებთან – პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებსა და პროგრამის ადმინისტრირებასთან – შესაბამისობის შესამოწმებლად. დათვალიერდა სასწავლო გარემო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. არსებული ინფრასტრუქტურა იძლევა 20 მსმენელის ორ ჯგუფად სწავლების შესაძლებლობას, შესაბამისი განრიგისა და ცვლების ორგანიზებით. სასწავლო სივრცის უწყვეტი ფუნქციონირება წლის განმავლობაში მინიმუმ 50 ქალი მსჯავრდებულის მომზადების შესაძლებლობას ქმნის და ხელს უწყობს გათავისუფლების შემდეგ მათ დასაქმებას კვების ინდუსტრიაში.

მსმენელთა შერჩევას უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი პენიტენციური დაწესებულების საშუალებით, კოლეჯის მონაწილეობით. შერჩევა მოიცავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში წინმსწრები განათლებისა და ასაკის შემოწმებას, ასევე გასაუბრებას. სასწავლო განრიგი, მსმენელთა რაოდენობა, სწავლების ვადები და სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. საჭირო სასწავლო რესურსებს მსმენელებს მიაწვდის კოლეჯი, ცენტრის კოორდინაციით.

პროგრამა განხორციელდება კანონმდებლობისა და პენიტენციურ დაწესებულებაში მოქმედი უსაფრთხოებისა და რეჟიმის წესების დაცვით, ხოლო სწავლის შედეგები შეფასდება პროგრამითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის ადმინისტრირებას პენიტენციური დაწესებულება კოლეჯთან ერთად განახორციელებს.
რაც შეეხება სასწავლო გარემოს, პენიტენციურმა სამსახურმა გამოყო ფართი და საკუთარი ბიუჯეტით შეარემონტა: მოპირკეთდა იატაკი, კედლები და ჭერი, მოეწყო გამწოვები, სველი წერტილები, ტრაპი და ელექტროსისტემა. სურსათის უვნებლობისა და სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობა უზრუნველყო კოლეჯმა „იკაროსმა“. TİKA-ს მხარდაჭერით სივრცე აღიჭურვა ინვენტარითა და რესურსებით.
მსმენელთა შერჩევასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მსმენელებს ცენტრი შეარჩევს პენიტენციური დაწესებულების საშუალებით, პროგრამის მოთხოვნებისა და შერჩევის პირობების გათვალისწინებით.
შემოწმდება წინმსწრები განათლება (პროგრამით გათვალისწინებულ შემთხვევაში), ასაკი და დაშვების სხვა წინაპირობები. ჩატარდება გასაუბრება. კოლეჯი მონაწილეობს კანდიდატთა შესაბამისობის განსაზღვრასა და პროგრამაში ჩართვის კოორდინაციაში. პროგრამის ადმინისტრირებას განახორციელებს პენიტენციური დაწესებულება კოლეჯთან ერთად. განრიგი, მსმენელთა რაოდენობა, დაწყებისა და დასრულების ვადები და სხვა ორგანიზაციული საკითხები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა – 22 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 50, სწავლების ენა - ქართული, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას გამზირი №4.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ცენტრის წარმომადგენელს წარმოდგენილი პრეზენტაციისთვის და მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა კომენტარი, იმასთან დაკავშირებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთი წამოწყება და მოკლევადიანი პროგრამების განხორციელება პენიტენციურ დაწესებულებებში.
კოლეჯის დირექტორმა განაცხადა, რომ ეს თანამშრომლობა, რომელიც უშუალოდ პენიტენციურ სისტემას და სასწავლო დაწესებულებებს ეხება, შესაძლებელია უფრო მეტად განვითარებულიყო. თვითონ პროგრამა შინაარსობრივად ძალიან კარგია. მან დასძინა, რომ მხარს უჭერდა ყველა ასეთ კეთილ წამოწყებას, რომელსაც ადამიანების მხარდაჭერა და ზრუნვა ჰქვია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ მოდუსის „ქართული და უცხოური კერძების მომზადება" /02644/ - პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი და დასძინა, რომ კენჭისყრა მოხდებოდა ზეპირსიტყვიერად


კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული


პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) პროფესიული მომზადების პროგრამაზე - ქართული და უცხოური კერძების მომზადება /02644/ გაეზარდოს მსმენელთა ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 50-ით **(დანართი 4).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა 13:35 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
გამყრელიძე გიორგი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
სანაია სალომე



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02725	შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების სერტიფიცირება	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	7	ქართული	10	ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02712	დეკორატიული ბაღის მოვლა	პროფესიული მომზადება	მესამე	14	ქართული	10	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ნინოწმინდა

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02713	ხეხილის სხვლა-ფორმირება	პროფესიული მომზადება	მესამე	9	ქართული	15	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ნინოწმინდა

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02644	ქართული და უცხოური კერძების მომზადება	პროფესიული მომზადება	მეხუთე	22	ქართული	50	ქ. რუსთავი, ჟიული შარტავას გამზირი №4